



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

განდუკი

განდუკი (ყოფ. ნათიანი), სოფელი დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყრის თემში (მცხეთა-მთიანეთის მხარე), გუდამაყრის არაგვის (მთიულეთის არაგვის მარცხ. შენაკადი) მარცხ. ნაპირას. გ. დ. 1320 მ, დუშეთიდან 61 კმ. 63 მცხ. (2002). გ-ში სამი უბანია: ნათიანი, ლაგაზიანი, კოტორიანი. ყოველ მათგანში შემორჩენილია დარბაზული ეკლესიების ნანგრევები. ლაგაზიანში არის მთავარანგელოზის ნიში - მთელი სოფლის საერთო სალოცავი. ნათიანში ძველად მდგარა ციხე, რ-იც დაუნგრევიათ. გ-ის სამხრ.-აღმ-ით, მთის ფერდობზე და ქედის ქიმზე არის ადრეფეოდალური ხანის ორი ციხე ზურგიანი კოშკებით - მახვილოკლის ციხე და მახვილოს ციხე. სოფ. გ-იდან არიან წარმოშობით აზნაური განდუკელები.

ჭ. გვასალია